



ACCESS TRANS GEORGIA LLC

**შპს „აქსეს ტრანს ჯორჯიას“
2021 წლის ფინანსური ანგარიშგება**

(31 დეკემბრის მდგომარეობით)

0108 თბილისი, მ. კოსტავას გამზ. # 3
ტელ.: (+ 995 32) 299 06 26/27
ელ-ფოსტა: info@expedition.ge

0108 Tbilisi, M. Kostava Ave. 3
TEL.: (+995 32) 299 06 26/27
E-mail: info@expedition.ge

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება - ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	2
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	3
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	4
1. ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა	4
2. შედგენის საფუძველი.....	4
3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	7
5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	9
7. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	9
8. მომსახურების თვითღირებულება.....	10
9. ადმინისტრაციული ხარჯები	10

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021 წელი	31 დეკემბერი, 2020 წელი
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		26,284	32,695
არამატერიალური აქტივები		390	487
		26,674	33,182
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	5	1,074,746	627,835
საფაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,823,594	387,712
საქონელი		7,823	2,838
საგადასახადო აქტივი		27,967	21,662
სხვა მიმდინარე აქტივები		4,444	7,723
		2,938,574	1,047,770
სულ აქტივები		2,965,248	1,080,952
მიმდინარე ვალდებულებები			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		6,880	561,549
მიღებული ავანსები		2,168,320	246,687
გადასახდელი პროცენტი		9,329	9,329
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		2,093	1,639
		2,186,622	819,204
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		17,600	17,600
გაუნაწილებელი მოგება		761,026	244,148
		778,626	261,748
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,965,248	1,080,952

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება (შესაღარიის ინფორმაციით) დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ და ხელმოწერილია 2022 წლის 19 სექტემბერს.

შპს „აქსეს ტრანს ჯორჯიას“
დირექტორი ზაფერ კაპრამანი

ზ. Mocharov



თანდართული შენიშვნები 4-10 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021 წელი	31 დეკემბერი, 2020 წელი
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		26,284	32,695
არამატერიალური აქტივები		390	487
		26,674	33,182
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	5	1,074,746	627,835
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,823,594	387,712
საქონელი		7,823	2,838
საგადასახადო აქტივი		27,967	21,662
სხვა მიმდინარე აქტივები		4,444	7,723
		2,938,574	1,047,770
სულ აქტივები		2,965,248	1,080,952
მიმდინარე ვალდებულებები			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან		6,880	561,549
წარმოქმნილი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები		2,168,320	246,687
გადასახდელი პროცენტი		9,329	9,329
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		2,093	1,639
		2,186,622	819,204
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		17,600	17,600
გაუნაწილებელი მოგება		761,026	244,148
		778,626	261,748
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,965,248	1,080,952

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება (შესადარისი ინფორმაციით) დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ და ხელმოწერილია 2022 წლის 19 სექტემბერს.

შპს „აქსეს ტრანს ჯორჯიას“
დირექტორი ზაფერ კაპრამანი

თანდართული შენიშვნები 4-10 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება - ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021 წელი	31 დეკემბერი, 2020 წელი
შემოსავალი მომსახურების განევიდან	7	29,903,498	25,834,201
მომსახურების თვითღირებულება	8	(28,908,576)	(25,047,726)
საერთო მოგება		994,922	786,475
საოპერაციო ხარჯები			
დასაქმებულთა ანაზღაურება		(736,001)	(642,727)
ცვლელთა და ამორტიზაცია		(6,668)	(8,295)
სხვა საოპერაციო ხარჯი	9	(157,885)	(150,709)
		(900,554)	(801,731)
საოპერაციო მოგება		94,368	(15,256)
არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
საპროცენტო შემოსავალი		39,378	32,206
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) საგალუქო ოპერაციებიდან:		383,557	(277,761)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(425)	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		516,878	(260,811)
მოგების გადასახადი		-	(1,937)
მოგება/(ზარალი)		516,878	(262,748)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისისთვის		244,148	506,896
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)		516,878	(262,748)
გამოცხადებული დივიდენდები		-	-
წინა პერიოდის შეცდომის გასწორება		-	-
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება		-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის დასასრულისთვის		761,026	244,148

თანდართული შენიშვნები 4-10 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021 წელი	31 დეკემბერი, 2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
რეალიზაცია		5,513,583	23,101,555
მიღებული ავანსები		26,393,922	-
საპროცენტო შემოსავალი		39,378	32,206
სულ მიღებული ფულადი ნაკადები		31,946,883	23,133,761
გაცემული თანხები:			
მომწოდებლებთან გადახდილი თანხები		30,470,109	22,557,126
სახელფასო ხარჯები		588,978	510,317
საგადასახადო ხარჯები		176,062	175,835
სხვა საოპერაციო ხარჯები		145,049	131,698
სულ გაცემული თანხები		31,380,198	23,374,976
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		566,685	(241,215)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	2,439
კაპიტალური ხარჯები		-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		-	(2,439)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
სესხის მიღება		-	-
სესხის ძირის დაფარვა		-	-
სესხის პროცენტის დაფარვა		-	-
დივიდენდების გაცემა		-	-
ცვლილება საკუთარ კაპიტალში		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები		566,685	(243,654)
ვალუტის გაცვლითი კურსის ეფექტი		(119,774)	236,935
ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	5	627,835	634,554
ფული პერიოდის ბოლოს	5	1,074,746	627,835

თანდართული შენიშვნები 4-10 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1. ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს „აქსეს ტრანს ჯორჯიას“ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) შესაბამისად 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

შპს „აქსეს ტრანს ჯორჯია“ დაარსდა ქ.თბილისში, 2010 წლის 29 სექტემბერს არაბთა გაერთიანებულ საემიროებში რეგისტრირებული „ანატოლია ჰოლდინგ კომპანი ლიმიტედ 125534“ – ის მიერ, რომელიც დღემდე კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 406035008

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა :

დირექტორი – ბატერ კაპრამან, თურქეთი

კომპანიის ძირითად საქმიანობას გახსნის დღიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოადგენს სატრანსპორტო – საექსპედიტორო მომსახურება (სარკინიგზო გადაზიდვები).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, მატროსოვის ქ. #13.

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს (მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს) და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

2.2 გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ

მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი წარდგენა არის უფრო გამოსაძევი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოურ ვალუტა

უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები - ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ევრო 3.5040 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერს: ერთი ამერიკული დოლარი 3.2766 ლარს და ევრო 4.0233 ლარს). არაფულადი ერთეულები არაა გადაანგარიშებული პერიოდის ბოლო კურსით და მისი აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული კურსით).

საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაანგარიშებით ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, გამოუქვითავი გადასახადებისა და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწმებიდან, განისაზღვრება მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ საშუალო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

3.4 არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით.

3.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეგერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

3.6 მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3.7 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3.8 გადასახადები

მოგების გადასახადში განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის აღარ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის მოგებაში ან ზარალში შესაბამისი გადანაწილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.9 კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება, როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

3.10 შემოსავლების აღიარება

შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს განეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

3.11 ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

წინამდებარე ანგარიშგების “მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისთვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილ აქტივებსა და პასივებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, აგრეთვე შემოსავლებსა და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

4.1 საფაჭრო მოთხოვნის რეზერვი

ყოველი საანგარიშგო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი.

4.2 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა და შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4.3 საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა ათვასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადანწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2021 წელი	31 დეკემბერი 2020 წელი
ფული სალაროში	1,453	1,453
საბანკო ანგარიშები	1,073,293	626,382
	1,074,746	627,835

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2021 წელი	31 დეკემბერი, 2020 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	160,530	255,428
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	2,239	2,159
მოთხოვნები ხელმძღვ. და სამეთვ.ორგ.წევრ.მიმართ	2,027	2,152
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1,658,798	127,973
	1,823,594	387,712

7. შემოსავალი მომსახურების განწევადან

	31 დეკემბერი, 2021 წელი	31 დეკემბერი, 2020 წელი
განეული მომსახურებიდან (საერთაშორისო)	29,709,630	25,336,463
განეული მომსახურებიდან (ადგილობრივი)	152,671	451,024
სხვა შემოსავლები	41,197	46,714
	29,903,498	25,834,201

8. მომსახურების თვითღირებულება

	31 დეკემბერი, 2021 წელი	31 დეკემბერი, 2020 წელი
განწეული მომსახურების თვითღირებულება (საერთაშორისო)	28,730,943	24,633,080
განწეული მომსახურების თვითღირებულება (ადგილობრივი)	177,633	414,646
	28,908,576	25,047,726

9. ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი, 2021 წელი	31 დეკემბერი, 2020 წელი
იჯარა	123,288	121,517
მოვლა-შეკეთების ხარჯი	2,200	1,896
კომუნიკაციის ხარჯი	10,509	9,114
კომუნალური ხარჯი	6,424	4,719
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება	-	2,171
სადაზღვეო ხარჯი	2,651	3,067
სხვა ხარჯები	12,813	8,225
	157,885	150,709